




ხაშურის მთაშვე



№39 (170)

15 ოქტომბერი, ორშაბათი, 2018 წელი

შიდა ქართლის გუბერნატორი სურამის მოსახლეობას შეხვდა

შიდა ქართლის გუბერნატორი გიორგი ხოჯევანიშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერ გიორგი გურასპაშვილთან ერთად, სურამის მოსახლეობას შეხვდა და ადგილობრივთა პრობლემებს გაეცნო. საუბარში, ძირითადად, შეეხო სანიაღვრე სისტემების მოწესრიგებას, მდინარე სურამულას ნაპირსამაგრ სამუშაოებს, დაბის ინფრასტრუქტურულ მოწესრიგებას, უფუნქციო შენობების რეაბილიტაციას, სურამის ციხის კედლების და საძირკვლის გამაგრებითი სამუშაოების საჭიროებას.



გიორგი ხოჯევანიშვილი: სურამის მოსახლეობის აზრი და ჩვენი პროექტების თქვენს საჭიროებაზე მორგება უმთავრესი პრიორიტეტია, ამიტომ გადავწყვიტეთ მათთან შეხვედრა და გვსურს, ერთად ვიმსჯელოთ საკითხების მოგვარების გზებზე. თქვენი ჩართულობა აუცილებელია, რათა სწორად და ეფექტურად დაგვეგმოს სამომავლო პროექტები.

ნელი გელაშვილი(სურამის მცხოვრები): დანაშაულია იმის არ დანახვა, რაც ამ ხელისუფლების დროს სურამში გაკეთდა და ამჟამადც კეთდება. ამ რაოდენობით ქუჩების მოასფალტების პრეცედენტი ჯერ სურამს არ ახსოვს. რა თქმა უნდა, პრობლემები დღემდე არსებობს და გასაკეთებელი კიდევ ბევრია, თუმცა, ვიმედოვნებთ, ასეთი ყურადღებებიან ხელისუფალთა პირობებში უამრავი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხები გადაწყდება სურამის მცხოვრებთა სასიკეთოდ.

გუბერნატორი, ასევე, პირადად გაეცნო სურამში მცხოვრები ანატოლ ფილიშვილის, დამსვენებლებისთვის განკუთვნილი, კოტეჯის მშენებლობას. მისი სურვილი იყო კოტეჯის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოს შემოღობვა, გამომდინარე იქიდან, რომ სწავი ტემპებით ვრცელდება და მალე ტყის დიდ ნაწილსაც მოიცავს. გიორგი ხოჯევანიშვილმა დახმარება აღუთქვა და სასაფლაოს შემოღობვას დაჰპირდა.

მერიამ წარმატებული პედაგოგები დააჯილდოვა

პედაგოგთა პროფესიულ დღესასწაულთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ ჯანაშვილმა მუნიციპალიტეტის წარმატებულ პედაგოგებს სურამის მეორე საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგ ჯაბა ლაბაძეს და ხაშურის პირველი საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელ ნანა დაბრუნდაშვილს მასწავლებლის საერთაშორისო დღე მიულოცეს და საჩუქრად პლანშეტები გადასცეს.



ჯაბა ლაბაძე და ნანა დაბრუნდაშვილი მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს 2018 წლის საუკეთესო ათეულში მოხვდნენ.

„ყველა პედაგოგს და განსაკუთრებით ჩვენი მუნიციპალიტეტის პედაგოგებს ვულოცავ მასწავლებლის საერთაშორისო დღეს. ისინი ყოველთვის განსაკუთრებულად კარგები და გამორჩეულები არიან, ვუსურვებ მათ კიდევ ბევრი ღირსეული თაობა აღეზარდოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის და ქვეყნის საამაყოდ. მეამაყება, რომ ქალბატონი ნანა დაბრუნდაშვილი ჩემი მასწავლებელია“-აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა.

თავდაპირველად, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს შესარჩევ კონკურსში 104 პედაგოგი ჩაერთო, მათგან საუკეთესო ათეული სფეროსა და საზოგადოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებულმა ჟიურიმ შეარჩია.

წარჩინებულ მოსწავლეებს პორტატული კომპიუტერები გადაეცათ



შიდა ქართლის გუბერნატორმა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად, რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტის საბაზო საფესურზე მყოფი 361 წარჩინებული მოსწავლე დაჯილდოვა. მოსწავლეებს საჩუქრად პორტატული კომპიუტერები გადაეცათ.

პროგრამა “ჩემი პირველი კომპიუტერის” ფარგლებში, ხაშურის რესურსცენტრს დაქვემდებარებული საჯარო სკოლების 91 საბაზო საფესურზე მყოფი მოსწავლე დაჯილდოვდა.

ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრში დაცულ მონაცემებზე დაყრდნობით, გასული სამი წლის განმავლობაში, სტატისტიკურად წარჩინებულ მოსწავლეთა რიცხვი 20%-ით გაიზარდა.

„მიხარია, რომ წარჩინებული მოსწავლეების სტატუსით ბევრი ხართ შეკრებილნი და პირადად მომეცა საშუალება, მოგილოცოთ. თქვენ ხართ ქვეყნის მომავალი, ამიტომ მნიშვნელოვანი და აუცილებელია, წარჩინებულები იყოთ არამხოლოდ ახლა, არამედ სკოლის, უნივერსიტეტის დამთავრებისას, რათა თქვენი ცოდნითა და ნიჭით ჩვენი ქვეყანა უკეთესობისკენ შეცვალოთ. განათლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვიცი რომ ეს თქვენც კარგად იცით და მე, არამხოლოდ რეგიონის გუბერნატორი, არამედ ამ ქვეყნის რიგითი მოქალაქე, დიდ იმედებს ვამყარებ თქვენზე. გილოცავთ კიდევ ერთხელ და წარმატებებს გისურვებთ“, - მიმართა შეკრებილ ახალგაზრდებს გიორგი ხოჯევანიშვილმა.

პროექტის მიზანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლა/სწავლების მეთოდების გაძლიერება. თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაზრდა, ნიჭიერ და შრომისმოყვარე მოზარდებს წარმატების მიღწევის კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება # 73
2018 წლის 2 ოქტომბერი
ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებისა და საქართველოს კანონის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმები დანართი №1 შესაბამისად.

მუხლი 2. დადგინდეს ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება # 91

2018 წლის 5 ოქტომბერი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის „126 განკარგულებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტის კონფლიქტის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მზავრობის უზრუნველყოფის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

ხაშურის მუნიციპალიტეტის კონფლიქტის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მზავრობის უზრუნველყოფისა და მათი სამუშაო ადგილებზე დამაგრების ხელშეწყობის მიზნით, ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მომართვის საფუძველზე, ხორციელდება ხაშურის მუნიციპალიტეტის კონფლიქტის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მზავრობის პროგრამაში ცვლილება. ვინაიდან მოხდა პროგრამით მოსარგებლე პედაგოგთა რაოდენობის გაზრდა და, შესაბამისად, საათების რაოდენობისა და პედაგოგების განრიგის ცვლილება, სასწავლო პროცესის სტაბილურობისათვის საჭიროა ხაშურის მუნიციპალიტეტის კონფლიქტის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მზავრობის პროგრამისა და დანართში განხორციელდეს ცვლილება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ხაშურის მუნიციპალიტეტის კონფლიქტის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მზავრობის უზრუნველყოფის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 15 დეკემბრის №126 განკარგულებაში, პროგრამისა და დანართ №1-ში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება.

2. განკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას;

3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, მ.კოსტავას ქ. №15);

საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დოკუმენტის მიზანი

ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების (შემდგომში – დაწესებულება) პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების მიზანია როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების განსაზღვრა, დაწესებულების მიერ ხარისხიანი მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (შემდგომში – კანონი).

2. ამ დოკუმენტის მიზნებისთვის, ქვემოთ ჩამოთვლილი ტერმინები განმარტება შემდეგნაირად:

ა) პერსონალი – დაწესებულების ადამიანური რესურსი; ყველა ის პირი, რომელიც დაწესებულებისთვის ასრულებს სამუშაოს დაწესებულებასთან დადებული შრომის ხელშეკრულების საფუძველზე.

ბ) საგანმანათლებლო პროგრამა – სასწავლო პროცესის, გარემოს, ჩართული მხარეების და მათ შორის ურთიერთკავშირის ერთობლიობა;

გ) თემი – ერთ ტერიტორიაზე დასახლებულ ადამიანთა ერთობა, რომელთაც საერთო ინტერესები და იდენტიფიკაცია გააჩნიათ.

მუხლი 3. გავრცელების სფერო და რეგულირების საგანი

1. წინამდებარე დოკუმენტი ვრცელდება როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულების პერსონალზე და ადგენს პერსონალის სამსახურებრივ ინსტრუქციებს, ქცევისა და ეთიკის ნორმებს.

2. დაწესებულებას უფლება აქვს განაგრძოს, ან დააკონკრეტოს ამ დოკუმენტში მოცემული ცალკეული რეგულაცია, შექმნას ინდივიდუალური ეთიკის კოდექსი, სამსახურებრივი ინსტრუქციები, რაც უნდა ეფუძნებოდეს და არ ეწინააღმდეგებოდეს წინამდებარე დოკუმენტისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

თავი II

პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციები

მუხლი 4. პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციები

1. პერსონალი საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას არის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი.

2. პერსონალი კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს, იცავს კანონის, მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებს და დაწესებულების შინაგა-

ნაწესს.

3. პერსონალი იცავს კონფიდენციალობას როგორც კოლეგებთან, ისე საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ ბავშვებთან და მათ ოჯახებთან მიმართებაში.

4. პერსონალი თავისუფალია საკუთარი რელიგიური, მსოფლმხედველობრივი, პოლიტიკური შეხედულებების არჩევანში. ამავე დროს პერსონალი არ განიხილავს და განსჯის ერთმანეთის ან სხვათა

ოჯახურ, რელიგიურ, პოლიტიკურ და სხვა საკითხებს და არ ცდილობს ამ მიმართულებით გავლენა მოახდინოს სხვებზე.

5. პერსონალი აღიარებს და პატივს სცემს სხვადასხვა ნიშნით განხვავებულობას და საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას ხელს უწყობს სტერეოტიპული დამოკიდებულებების შეცვლას.

6. პერსონალი ქმნის არაძალადობრივ გარემოს როგორც ბავშვისთვის, ასევე ოჯახისთვის

და დაწესებულების ყველა თანამშრომლისთვის, ძალადობის გამოვლენის შემთხვევაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. პერსონალი არის პუნქტუალური, დროულად ცხადდება სამუშაო ადგილზე, დათქმულ დროში ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

8. პერსონალი უფრთხილდება დაწესებულების მატერიალურ რესურსს, დაზიანების შემთხვევაში, შესაძლებლობის ფარგლებში, ზრუნავს შეკეთებაზე, ან მიმართავს დაწესებულების პასუხისმგებელ სუბიექტს.

9. პერსონალი მატერიალური რესურსის გამოყენებისას იცავს უსაფრთხოების ნორმებს.

10. პერსონალი არ ცხადდება დაწესებულებაში, როდესაც არის ავად გადამდები ინფექციური დაავადებით, ან დაავადებით, რომელიც ხელს შეუშლის უფლებამოსილებების განხორციელებაში, რის თაობაზეც დაწესებულებას აფრთხილებს წინასწარ, ხოლო გამოცხადების შემდეგ წარადგენს შესაბამის ცნობას.

11. პერსონალი, სამსახურებრივი საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობს დაწესებულების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, რა დროსაც იყენებს მხოლოდ საკუთარ მომხმარებლის სახელს და პაროლს.

12. პერსონალი უფრთხილდება დაწესებულების ელექტრონულ ინფორმაციას, არ იყენებს დაწესებულების ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ მოწყობილობებს პირადი მიზნებისთვის, არ ჩამოტვირთავს/უყურებს ძალადობისა და უხამსობის ამსახველ ვიდეო/ფოტო მასალას.

13. პერსონალი არ იყენებს დაწესებულების ადამიანურ და მატერიალურ რესურსს პირადი მიზნებისთვის.

14. პერსონალი სამუშაო საათებში თავს იკავებს მობილური ტელეფონის გამოყენებისგან (გარდა სამსახურებრივი საჭიროებისა და საგანგებო მდგომარეობისა), დაწესებულების ტელეფონს იყენებს მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისთვის.

(დასასრული III გვერდზე)

(დასასრული)

- 15. პერსონალი საქმიანობს სუფთა, კომფორტულ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელში, რომელიც არ უშლის ხელს საკუთარი უფლებამოსილებების გახორციელებაში.
- 16. პერსონალი კომპეტენციის ფარგლებში ადვოკატირებას უწევს ბავშვის, საკუთარი და დაწესებულების საჭიროებების მოგვარებას.
- 17. პერსონალი ყველა შესაძლო გზით ზრუნავს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე.
- 18. პერსონალი არ მოიხმარს ალკოჰოლს და თამბაქოს დაწესებულების ტერიტორიაზე, ასევე არ ცხადდება დაწესებულებაში ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ.
- 19. პერსონალი უფრთხილდება საკუთარ და დაწესებულების საქმიან რეპუტაციას და არ იყენებს საკუთარ სამსახურებრივ სტატუსს პირადი მიზნებისთვის.

თავი III

პერსონალის ქცევისა და ეთიკის ნორმები

მუხლი 5. პერსონალის ქცევისა და ეთიკის ნორმები თითოეულ ბავშვთან ურთიერთობის დროს

- 1. პერსონალი საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. პერსონალი აღიარებს ბავშვს, როგორც საგანმანათლებლო პროცესის აქტიურ მონაწილეს და ითვალისწინებს მის პერსპექტივას.
- 2. პერსონალი აღიარებს და პატივს სცემს ბავშვის ინდივიდუალურობასა და განსხვავებულობას.
- 3. პერსონალი ზრუნავს ჯგუფისა და დაწესებულების მიმართ ბავშვის მიკუთვნებულობის განცდაზე.
- 4. პერსონალი ქმნის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან დაცულ, ინკლუზიურ გარემოს, სადაც ყველა ბავშვს აქვს განვითარების შესაძლებლობა, განურჩევლად ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა.
- 5. პერსონალი ზრუნავს თითოეული ბ ა ვ შ ვ ი ს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე.
- 6. პერსონალი ურთიერთობს ბავშვთან, როგორც თანასწორთან და უფლებების მქონე სუბიექტთან.
- 7. პერსონალი აცნობიერებს თამაშის მნიშვნელობას ბავშვის მრავალმხრივი განვითარებისთვის.
- 8. პერსონალი ქმნის გარემოს, სადაც ყველა ბავშვს აქვს აზრის გამოხატვის შესაძლებლობა.
- 9. პერსონალი უზრუნველყოფს ბავშვის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას, მათ შორის პირადი მაგალითით.
- 10. პერსონალი ითვალისწინებს ბავშვისა და ოჯახის მჭიდრო კავშირების მნიშვნელობას, იყენებს ამ კავშირებს და ბავშვის შესახებ ოჯახის ცოდნას ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად.
- 11. პერსონალი ბავშვთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფოტო/ვიდეო მასალის, ან ნამუშევრის გაზიარების შემთხვევაში (განსაკუთრებით ინტერნეტ-სივრცეში) მოიპოვებს ბავშვისა და მშობლის თანხმობას და მოქმედებს ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვით.
- 12. დაწესებულების ფარგლებში დაგეგმილ კვლევებში ბავშვის მონაწილეობისას მოქმედებს მისი საუკეთესო ინტერესის დაცვით.
- 13. პერსონალი ინარჩუნებს სიმშვიდეს კრიტიკულ სიტუაციებში და მოქმედებს სიტუაციის შესაბამისად.
- 14. პერსონალი იყენებს პოზიტიურ დისციპლინის სტრატეგიებს.
- 15. პერსონალი თანაბარ ყურადღებას უთმობს ყველა ბავშვს, განურჩევლად ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა.
- 16. პერსონალი არ ახვევს საკუთარ რელიგიურ, პოლიტიკურ და მსოფლმხედველობრივ შეხედულებებს ბავშვს და არ უშვებს ამ ტიპის ქმედებას სხვების მხრიდან.

მუხლი 6. პერსონალის ქცევისა და ეთიკის ნორმები თითოეული ბავშვის ოჯახთან ურთიერთობის დროს

- 1. პერსონალი ამყარებს პოზიტიურ, ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას ბავშვის ოჯახთან, ხელს უწყობს მშობელთა ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
- 2. პერსონალი პატივს სცემს ბავშვის ოჯახის წევრებს განურჩევლად მათი გენდერული, კულტურული, სოციალური, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით განსხვავებულობისა.
- 3. პერსონალი უზიარებს მშობლებს ინფორმაციას როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის, ისე ბავშვის განვითარების შესახებ.
- 4. პერსონალი ზრუნავს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საკითხებთან დაკავშირებით მშობელთა ცნობიერების ამაღლებაზე.
- 5. პერსონალი აღიარებს მშობლის უნიკალურ როლს ბავშვის განვითარებაში, პატივს სცემს მის უფლებას ბავშვთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების დროს, ამავდროულად მოქმედებს ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვით.
- 6. პერსონალი იცავს კონფიდენციალობას ბავშვის ოჯახთან და-

კავშირებით, არ განიხილავს ბავშვის და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციას კოლეგებთან, ან სხვა მშობლებთან.

7. პერსონალი, ბავშვის ოჯახის წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში, არ არის მიკერძოებული და თანაბრად ურთიერთობს ოჯახის თითოეულ წევრთან.

8. პერსონალი არ შედის ფამილარულ ურთიერთობებში ბავშვის ოჯახის წევრებთან და თავს არიდებს მათთან კონფლიქტურ ურთიერთობას.

9. პერსონალი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ბავშვისგან ან მისი ოჯახისგან არ იღებს ფულს ან ფასიან საჩუქარს (გარდა ყვავილებისა).

10. პერსონალი არ ახვევს საკუთარ რელიგიურ, პოლიტიკურ და მსოფლმხედველობრივ შეხედულებებს ბავშვის ოჯახის წევრებს და არ უშვებს ამ ტიპის ქმედებას სხვათა მხრიდან.

მუხლი 7. პერსონალის ქცევისა და ეთიკის ნორმები თანამშრომლებთან ურთიერთობის დროს

1. პერსონალს აქვს პოზიტიური, პატივისცემისა და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთთანამშრომლობა.

2. პერსონალი მუშაობს გუნდურად, მხარს უჭერს თითოეული თანამშრომლის პოზიტიურ ინიციატივებს, ქმნის ჯანსაღ სამუშაო გარემოს.

3. პერსონალი მხარს უჭერს თითოეულ თანამშრომელს პროფესიულ განვითარებაში.

4. პერსონალი ამჟღავნებს პროფესიულ სოლიდარობას და კოლეგიალობას.

5. პერსონალი მხარს უჭერს თანამშრომლებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ცოდნის, გამოცდილების, იდეებისა და საგანმანათლებლო რესურსის გაზიარების გზით.

6. პერსონალი თავს არიდებს კონფლიქტებს და ორიენტირებულია დაწესებულებაში წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტაზე.

7. პერსონალი მხარს უჭერს თანამშრომლებს ამ დოკუმენტით გათვალისწინებული პუნქტების შესრულებაში და მისი კომპეტენციის ფარგლებში მიმართავს შესაბამის ზომებს არაეთიკური ქმედების აღმოსაფხვრელად.

8. პერსონალი აღიარებს და პატივს სცემს თითოეული თანამშრომლის ინდივიდუალურობას და პროფესიული გამოცდილების მრავალფეროვნებას.

9. პერსონალი თავს არიდებს თანამშრომლის საქმიანობაში უხეშ ჩარევას, არ იძლევა იმპერატიულ მითითებებს თანამშრომლის მისამართით.

10. პერსონალი პატივს სცემს განსხვავებულ მოსაზრებას და კონსტრუქციული დიალოგის გზით ცდილობს კონსენსუსის მიღწევას.

11. პერსონალი ადკვეთს ისეთ ქმედებას, რომელიც დაამცირებს, შეურაცხყოფს თანამშრომელს, ან ხელს შეუშლის მას უფლებამოსილების განხორციელებაში;

12. პერსონალი არ ახვევს საკუთარ რელიგიურ, პოლიტიკურ და მსოფლმხედველობრივ შეხედულებებს თანამშრომლებს და არ უშვებს ამ ტიპის ქმედებას სხვათა მხრიდან.

მუხლი 8. პერსონალის ქცევისა და ეთიკის ნორმები თემთან ურთიერთობის დროს

1. პერსონალი ფლობს ინფორმაციას თემში არსებული სხვადასხვა სახის რესურსების შესახებ (სხვადასხვა ტიპის დაწესებულებები, სპეციალისტები და ა.შ.) და იყენებს დაწესებულების სასარგებლოდ.

2. პერსონალი აცნობიერებს პასუხისმგებლობას თემის წინაშე და უზრუნველყოფს ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამის მიწოდებას.

3. პერსონალი, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, თანამშრომლობს სხვა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებთან, ასევე სხვა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

4. პერსონალი ხელს უწყობს სტუდენტთა, მკვლევართა, დარგის სპეციალისტთა მოხალისეობრივ, კვლევით საქმიანობას ისე, რომ არ ფერხდება საგანმანათლებლო პროცესი და დაცულია ბავშვის საუკეთესო ინტერესი.

5. პერსონალი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ზრუნავს თემსა და გარემოზე (არ აყენებს მას ზიანს, არ აბინძურებს და სხვა).

თავი IV პასუხისმგებლობა
მუხლი 9. პასუხისმგებლობა

პერსონალის მიერ ამ დოკუმენტით დადგენილი სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის, დაწესებულების შინაგანაწესისა და პერსონალთან გაფორმებული შრომის ხელშეკრულების შესაბამისად.

- მუსიკა -

ლიკა კალმახელიძისა და სოფიო ნოზაძის კიდევ ერთი აღიარება

„საოცარი ბავშვები საქართველოდან, რომლებსაც უდიდესი მომავალი აქვთ“ – ასე გამოეხმაურა ისრაელში, ქალაქ ცფატში, ადგილობრივი პრესა და ტელევიზია ფესტივალის შედეგებს, რომელიც ამ ქალაქში ამ რამდენიმე ხნის წინ გაიმართა. თუმცა, მიყვებით თანმიმდევრობით:

ლიკა კალმახელიძისა და სოფიო ნოზაძის შესახებ ჩვენ არაერთხელ დაგვიწერია. ჩვენი მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი მათი



წარმატებების შესახებ, რომლებიც მათ სხვადასხვა ფესტივალებზე (თურქეთი, სომხეთი...) მიღწევს, ბუნებრივია, მუსიკის სამყაროში, ვიოლინოს ამ პატარა ვირტუოზების შესახებ უკვე იციან და ამიტომაც არავის გააკვირვებია, როდესაც ისინი ისრაელში, დიდ საერთაშორისო ფესტივალზე მიიწვიეს. „ჩრდილოეთის ცისარტყელა“- ასე ერქვა ამ ფესტივალს და მის მასშტაბურობას მონაწილე ქვეყნებიც ადასტურებენ: პოლონეთი, ჩეხეთი, რუსეთი, ისრაელი, ბელორუსია, იაპონია, საქართველო, ავსტრია, ინგლისი. ფესტივალის ბიუჯეტიც 800 ათასი დოლარი იყო. ჟიურის წევრები კი მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსები იყვნენ ინგლისიდან, ისრაელიდან და იაპონიიდან. აი, ასეთ ფესტივალზე აიღეს ჩვენმა პატარებმა გრან-პრი და შესრულების საოცარი ოსტატობით მოხიბლეს ყველა.



სოფიო 10 წლამდე ბავშვების კატეგორიაში მონაწილეობდა (თვითონ 8 წლისაა), ლიკა კი – 14 წლამდელებში (თვითონ 12 წლისაა).

სოფიოს შესრულებულმა ფოკოს „აღვებო“ და ლიტვინოვის „პერპენტუმობილემ“ და ლიკას შესრულებულმა შუბერტის „ფუტკარმა“ და ბერიოს „ლა-მინორმა“ საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჟიურზე. ჟიურის მიერ მინიჭებულ ქულებში მათ და მეორე ადგილოსნებს შორის იმხელა სხვაობა იყო, რომ პირველივე ტურის შემდეგ, ცხადი გახდა, მათ უმაღლეს „ტიტულში“ ვედარავინ შეეცილებოდა. ასეც მოხდა და ჩვენმა პატარებმა მორიგი ფესტივალი დაიპყრეს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მათი პედაგოგის ფატი სადალაშვილის და კონცერტმეისტერის თამაზ აბრამიძის შესახებ. მათ უზარმაზარი შრომა ჩადეს ამ ბავშვებში და სასიამოვნოა, რომ ასეთი შედეგიც მიიღეს. მადლობა მათ ამისათვის, მადლობა მთლიანად სამუსიკო სკოლას, რომლის კედლებშიც ასეთი ბავშვები იზრდებიან. მადლობა მუნიციპალიტეტის მერსას და მაჟორიტარ დეპუტატს, რომლებმაც მათი ფესტივალზე გამგზავრება ფინანსურად უზრუნველყვეს.

ამ ბავშვებს კი ბრავო, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის და მთელი საქართველოს სახელი ასე შორის გააქვთ და მსოფლიოს აცნობენ. P.S. ჟიურის ინგლისელი წევრი ისე აღფრთოვანდა ჩვენი პატარებით, რომ ისინი პერსონალურად მიიწვია ფესტივალზე, რომელიც ლონდონში უახლოეს მომავალში გაიმართება. იმედია, ლონდონიდანაც ხმამაღლა გაისმება: პირველი ადგილები - ლიკა კალმახელიძე და სოფიო ნოზაძე - საქართველო, ხაშური!

გ. გოგოლაძე

ცხადდება კონკურსი

როგორც უკვე თქვენთვის ცნობილია, ხაშურის მუნიციპალიტეტს პარტნიორული ურთიერთობა აკავშირებს ევროპის სხვადასხვა ქვეყნების მუნიციპალიტეტებთან. მათ შორისაა ლატვიის ქალაქი ბაუსკა. წელს, ბაუსკას მუნიციპალიტეტის ინიციატივით და ხაშურის მუნიციპალიტეტის პარტნიორობით ევროკავშირმა მხარი დაუჭირა პროექტ „პლატფორმის“ განხორციელებას, რომელიც პარტნიორ ქალაქებში ბავშვთა ნახატების კონკურსის მოწყობას ითვალისწინებს. კონკურსი, რომლის თემაა: „მრავალფეროვნება გვაერთიანებს - საქართველო და ლატვია“ შედეგება შემდეგი ეტაპებისგან:

- 2018 წლის 26 ოქტომბერი - ნახატების წარმოდგენის ბოლო ვადა;
- 2018 წლის 31 ოქტომბერი - ნახატების გამოფენა და გამარჯვებული ავტორების გამოვლენა ჟიურის მიერ;
- 2018 წლის 12-18 ნოემბერი გამარჯვებული ნახატების გამოფენა ლატვიის ქალაქ ბაუსკაში.

კონკურსის თემა: „მრავალფეროვნება გვაერთიანებს - საქართველო და ლატვია“

- კონკურსი ჩატარდება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით:
- 1-ლი ჯგუფი: I-VI კლასელი მოსწავლეები;
- მე-2 ჯგუფი: VII-IX კლასელი მოსწავლეები;
- მე-3 ჯგუფი: X-XII კლასელი მოსწავლეები.

თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში გამოვლინდება 3 გამარჯვებული ავტორი.



პალიტეტების ასოციაციის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი გადაეცემა. ამასთან, თითოეულ ასაკობრივ კატეგორიაში გამარჯვებული სამივე ავტორი ჩაითვლება გამარჯვებულად და სამივე მათგანი ლატვიის ადგილობრივი და რეგიონული მუნიციპალიტეტების ასოციაციისგან მიიღებს ექვივალენტურ პრიზს.

სულ, ასაკობრივი კატეგორიების შესაბამისად, გამოვლინდება 9 გამარჯვებული.

ნახატი შეიძლება შესრულდეს: ფანქრით, აკვარელით, ზეთის საღებავებით, ფერადი ფანქრებით, ტუშით, გუაშით და სხვ. (ავტორის სურვილის შესაბამისად);

ნახატი შეიძლება შესრულდეს ტილოზე, მუყაოზე, ფორმატზე და სხვ (ავტორის სურვილის შესაბამისად).

ნახატის ზომა არ უნდა აღემატებოდეს შემდეგ პარამეტრებს: 40X30(სმ).

თითოეულ ავტორს შეუძლია წარმოადგინოს არა უმეტეს 3 (სამი) ნახატი.

თითოეულ ნახატს რევერსზე (უკანა მხარეს) უნდა ჰქონდეს გაკეთებული წარწერა, სადაც მითითებული იქნება ავტორის სახელი, გვარი, სკოლა, კლასი და ნამუშევრის სახელწოდება ავტორის საკონტაქტო ტელეფონთან ერთად.

ნახატების წარმოდგენა შესაძლებელია 26 ოქტომბრის საღამოს 17 საათამდე ხაშურის ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრში მისამართზე ხაშური, კოსტავას ქ. 7. ტელ: 242857. საკონტაქტო პირი: დალი ხოდუაშვილი.

გამარჯვებული ნახატები გამოიფინება ლატვიის ქალაქ ბაუსკაში ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტ „პლატფორმას“ მიერ ორგანიზებულ გამოფენაზე მიმდინარე წლის 12-18 ნოემბერს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაუგრძობენ ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროს სპეციალისტს ბექა მაისურაძეს მამის ირაკლის გარდაცვალების გამო.

გაზეთის – „ხაშურის მოამბე“ – რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძობენ ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროს სპეციალისტს ბექა მაისურაძეს მამის ირაკლის გარდაცვალების გამო.

D საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია - თავმჯდომარე ინეზა ელისაშვილი, ღრმა მწუხარებით იუწყება ფლევის საჯარო სკოლის პედაგოგის მზია გულაშვილის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახს და ფლევის პედაგოგიურ კოლექტივს.

ფლევის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და თანამშრომლები, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფლევის საჯარო სკოლის პედაგოგი მზია გულაშვილი სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
 E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
 P-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.